დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი ნატო გაბოშვილო

წევრები:

ხათუნა ფაილაძე
ხათუნა ნოზაძე
მაია შამუგია
ეკა ტყავაშვილი
ნატო შაინიძე
თინათინ მარქარაშვილი
ხათუნა ქერაშვილი
შაქრო ჟღენტი
ქეთევან ბორაშვილი
ნინო კოვზიაშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227752189

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანი, სოფელი ბაკურციხე
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაკურციხე
საფოსტო ინდექსი	1500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https---skolebi.emis.ge-schools-1231-scho
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bakurtsikhe@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577678555

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 25 0000568530, 23.05.25
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 ივნისი, 1 ივლისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაკურციხე, შენობა-ნაგებობა ერთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაკურციხე, შენობა-ნაგებობა ერთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაკურციხე, შენობა-ნაგებობა ერთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 23 მაისის, MES 9 25 0000568530 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2025 წლის 31 ივნისსა და 1 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლაში.
ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.
დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელთანაც ექსპერტებს ჰქონდათ კომუნიკაცია და საქმიანი ურთიერთობა. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს და სხვა პირებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით, დაწყებითი საფეხურის ექსპერტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი, მოქმედებდნენ შეთანხმებულად.
დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუირების პროცესში, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, წარემართათ შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევა. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები ასახულია რჩევების ცხრილში.
საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რჩევები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლა წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურება მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდის საქმეს, გარემოება, რომელიც აღნიშნულ სკოლას გამოარჩევს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან, არის სწორი და მჭიდრო კომუნიკაცია თემთან, მშობლებთან, რაც განპირობებულია მშობლებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვით, მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის საშუალებით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი -

- „მშობლის დღე სკოლაში“, რომელიც მოსწავლეთა და მშობელთა პროფორიენტაციის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას, პროფესიების მიმართ პატივისცემის გამოხატვას, მშობელსა და სკოლას შორის ჯანსაღი კომუნიკაციის ზრდას ემსახურება;
- „მშობელთა ჩართულობა საკლუბო მუშაობაში“ სასწავლო შეხვედრა პროფესიულ კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მეათე კლასის მოსწავლეები და მშობლები სტუმრობდნენ კოლეჯს, გაეცნენ სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებს, ლაბორატორიებს, საცდელ მეურნეობებს და დაიგეგმა ერთობლივად განსახორციელებელი ღონისძიებები, ერთ-ერთი მათგანია, რომ ახლად რეაბილიტირებული სკოლის ეზოში ერთობლივად, მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და კოლეჯის სტუდენტთა ჩართულობით, გააშენებენ მეგობრობის ხეივანს;

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო დ სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური*	*სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (11.04.2025 - 11.04.2026)*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ*	*სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მიერ გაცემულ წერილობითი დასტურის მოპოვება, სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (11.04.2025 - 11.04.2026)*

	უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო (სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*

ინდიკატორი N.1.1.1.1.	*სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში*	*სასურველია, სკოლის ხედვა იყოს უფრო კონკრეტული.*
ინდიკატორი N N1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სასურველია, სკოლამ ისე გაწეროს სტრატეგიული მიზნები, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს შესრულებადი 7 წლის განმავლობაში.*
ინდიკტორი N1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*სასურველია, ერთწლიანი გეგმის შედგენამდე სკოლამ გააკეთოს თვითშეფასება, რაზე დაყრდნობითაც დასახავს ახალ ამოცანებს*
ინდიკტორი N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სასურველია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნების ფორმირება მოხდეს სტრატეგიული გეგმის მიზნების ფორმირების შესაბამისად და ამის მიხედვით განისაზღვროს ამოცანები, რომელიც შესრულებადი იქნება მითითებულ დროში.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე*	***მათემატიკა:*** *სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.*

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***სახელმწიფო ენა:*** *საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლის სახელმწიფო ენის ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტებში (VII- X კლასები) კონტექსტ-მაგალითებად მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე, ზოგა არეულია საკითხები და შემოქმედებითი დავალებები პირობები. სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში სწორად და სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი მისი შემადგენელი ელემენტები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ჩაიწეროს სწავლების საფეხური, მოსწავლეთა რაოდენობა (მ.შ. სსსმ რაოდენობა), საათების წლიური/სემესტრული/თემატური განაწილება. უმჯობესია, რომ კათედრაზე შემუშავდეს საგნობრივი კურიკულუმის ერთიანი შაბლონი.*
ინდიკატორი N2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *დაწყებითი საფეხური* *სასურველია, მე-4 კლასის ხელოვნების კურიკულუმში პირველი თემა ,,გრაფიკა და ფერწერა" შეიცვალოს უფრო შემოქმედებითი სათაურით მაგ: ,,წელიწადის დროები", ძირითადი საკითხი ,,პოსტერების აფიშების ნიმუშების ჩვენება" კი თემასთან შინაარსით ახლოს საკითხით.* *მე-3 თემა ,,არქიტექტურა და ქანდაკება" შეიცვალოს თემით მაგ: ,,ნივთები ჩვენს გარშემო" ან ,,ჩემი საყვარელი დღესასწაულით"* *მე-5 კლასის საგნობრივ კურიკულუმში მეექვსე თემას შეეცვალოს ქვეთემა , ,,ჩემი სამშობლო"თი* *მე-6 კლასის ხელოვნების კურიკულუმში პირველ და მეორე თემის სათაურები შეიცვალოს უფრო შეემოქმედებითი და სიღრმისეული სათაურებით მაგ: მოგზაურობა ევროპულ ქალაქებში" და მოგზაურობა აღმოსავლეთ ქვეყნებში", ასევე დაემატოს მინიმუმ ორი თემა და ქვეთემა სასწავლო დღეების, საგნის სტანდარტისა და საფეხურის მოთხოვნის შესაბამისად.* ***ტექნოლოგიები:*** *სასურველია, დაწყებით საფეხურზე განახლდეს ყველა კლასის კურიკულუმი,*

		რადგან მიმართულებების მიხედვით ყველა სამიზნე ცნება და მასში შემავალი საკითხები უნდა იყოს დამუშავებული მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა დაძლეულ იქნას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგი. წარმოდგენილ კურიკულუმებში სვეტი „თემა“ ჩანაცვლდეს დასახელებით „მიმართულება“. ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივმა პედაგოგებმა შეიმუშაონ ისეთი კურიკულუმები, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მათი მოსწავლეების შესაძლებლობებს, უნარებს, მისწრაფებებს. გაითვალისწინონ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნები, კერძოდ, საგნობრივი მიზნების განხორციელების აუცილებლობის მნიშვნელობა და განსახორციელებელ მრავალფეროვან დავალებებთან (პროექტი, ესე, მოხსენება და ა.შ.) მათი უშუალო კავშირი.*
ინდიკატორი N2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***მათემატიკა:*** *სასურველი იქნება, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული იქნას ისეთი რესურსები რომელიც დიფერენცირებულს გახდის სასწავლო პროცესს.* ***ტექნოლოგიები:*** *სასურველია, დაწყებით საფეხურზე სამიზნე ცნების - ციფრული მოქალაქეობის დამუშავების დროს დამატებით გამოიყენონ რესურსი „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის“ რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *გასაუბრების შედეგად პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე შეივსება და დაიხვეწება ახალი სასწავლო წლის განმავლობაშიც. საკითხების შესწავლის და შემოქმედებითი პროდუქტის შესრულებისთვის სასურველია მიეთითოს შესაბამისი დამატებითი ლიტერატურა და რესურსებიც (მ.შ. თავად პედაგოგის მიერ შექმნილი, მაგ.:პრეზენტაცია, პოსტერი და ა.შ.). სასურველია კურიკულუმებში მეტად იყოს წარმოდგენილი მრავლაფეროვანი რესურსები – აპლიკაციები, სქემები, სტატისტიკური მონაცემების ბაზები, ვირტუალური*

		მუზეუმები, მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, ხელსაწყოები (კომპასი, თერმომეტრი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ჰიგრომეტრი, ფლიუგერი და ა.შ.).
ინდიკატორი N2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***მათემატიკა:*** *სასურველი იქნება სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურზე ტესტები შემუშავდეს იმდაგვარად რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა მაქსიმალურად მოხდეს.* ***სპორტი:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა)* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე პედაგოგებმა საგნობრივ კურიკულუმებში ასახონ მოსწავლეების მიერ პროექტების განხორციელების მნიშვნელობა, თუ რომელ გრძელვადიან მიზანზეა ორიენტირებული და რომელ სასწავლო შედეგებზე გადის აღნიშნული პროექტი.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლის განვითარების გზას გვიჩვენებს, მოერგოს კონკრეტულ თემას და იმ სამიცნე ცნებებს, რომლის ფარგლებში ვაფასებთ მოსწავლეს.* ***მათემატიკა:*** *სასურველია,საბაზო და საშუალო საფეხურზე დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ მაინც.*

		ბუნებისმეტყველება: *სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ასახავდეს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას. ასევე სასურველია სამიზნე ცნებები შეესაბამებოდეს სტანდარტს.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავონ და საზოგადოებრივი კათედრის სხდომაზე დაამტკიცონ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, რომელიც დაკავშირებული იქნება კურიკულუმებში განსახორციელებელ შემოქმედებით პროდუქტების გრძელვადიან მიზნებთან და საგნობრივ შედეგებთან. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უნდა ეფუძნებოდეს ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებს.*
ინდიკატორი N2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***უცხო ენა:*** *სასურველია, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი იყოს დიფერენცირებული აქტივობები დიაგნოსტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეთა განსხვავებული მზაობის მქონე ჯგუფებისთვის.* ***მათემატიკა:*** *სამივე საფეხურზე ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სასურველია კათედრაზე მჭიდრო თანამშრომლობის გზით იქნას მიღებული.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია სამივე საფეხურზე პედაგოგებმა აწარმოონ თვითრეფლექსია და მიღწეული შედეგები ასახონ კურიკულუმებში; მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნა დაეხმარება სასკოლო საზოგადოებას გააუმჯობესოს საგნობრივი კურიკულუმები.*
ინდიკატორი N2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***ტექნოლოგიები:*** *დაწყებით საფეხურზე სასურველია ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ახლდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც კონკრეტულად ამ დავალებაზე იქნება მორგებული.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია სამივე საფეხურზე დაიხვეწოს არსებული შეფასების რუბრიკები. აქტივობების მიხედვით შექმნან – ესე-ს, მოხსენების, პრეზენტაციის, სტატიის, კომიქსის, პოსტერის, ბლოგის, ვლოგის, ვიდეო მიმართვის და ა.შ. – შეფასების რუბრიკები, სადაც ნათლად იქნება ნაჩვენები შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ესგ-ის საგნობრივი სტანდარტების შედეგებთან იქნება კავშირში.*

ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***ტექნოლოგიები:*** *დაწყებით საფეხურზე სასურველია სასწავლო პროცესში გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელო „გამარჯობა რუბი“, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი კლასებში კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფ ლებას. ასევე კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარის განვითარებას* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია სამივე საფეხურზე კურიკულუმი გათვალისწინებული ძირითადი რესურსების გარდა, მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგებმა მრავალფეროვანი დამხმარე სასწავლო რესურსებიც ასახონ კურიკულუმში*
ინდიკატორი N2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***მათემატიკა:*** *სამივე საფეხურზე სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვნად აისახოს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	**სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრული**	*სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის სტრუქტურა იერარქიულად განალაგოს და ურთიერთდაქვემდებარებული რგოლები მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელსაც ასახავს სკოლის ვებ გვერდზე.*
ინდიკატორი N3.3.2.1	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირები სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირ მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები*	*სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების გამოკითვის შედეგები გაანალიზოს და გამოიყენოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით.*

ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიე გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური*	*სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის თაობაზე.*
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*სკოლის ბიბლიოთეკარს მიეცა რჩევა, არსებული წიგნები დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესით, შესაბამისად კატალოგში ნუმერაციის მიხედვით იქნას გატარებული.*
ინდიკატორი N3.6.2.4	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლ საქმიანობისმარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.*	*სკოლას მიეცა რჩევა, ანგარიშის წარდგენისას სრულად მოიცვას კალენდარული წელი.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია. კერძოდ, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის სკოლა აღნიშნავს , რომ ეთანხმება რჩევებს, ხოლო 3.4.1.1 ინდიკატორის ფარგლებში იდენტიფიცირებულ ხარვეზთან დაკაშირებით შემუშავებული აქვთ შესაბამისობის გეგმა, სადაც ვადაში (2026 წლის 11 აპრილამდე) გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების პოზიცია, რის გამოც მე-3 სტანდარტის შეფასება შეიცვალა და „არ შეესაბამება“ ჩანაცვლდა „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი. სკოლის მისიაა, ხელი შეუწყოს მოზარდს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში, აღჭურვოს ისინი XXI საუკუნის უნარ-ჩვევებით, აღზარდოს აქტიური მოქალაქეები, რაც დაეხმარება მათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებასა და მათ მიერ ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შექმნაში. მოსწავლეს ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლის ხედვაა თითოეულმა მოსწავლემ სკოლის დამთავრების შემდეგ შეძლოს ღირსეულად გაართვას თავი გლობალურ/საერთაშორისო გამოწვევებს. სკოლა გეგმავს მეთოდოლოგიის შესაბამისად კიდევ ერთხელ გადახედოს საკუთარ ხედვას და დახვეწოს იგი. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

რჩევა: ***სასურველია, სკოლის ხედვა იყოს უფრო კონკრეტული.***

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სკოლის მისიის თანახმად, სკოლა დაეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს წარმატების მიღწევაში, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს განუვითარდეს/გაუძლიერდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება, სამოქალაქო და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაში. იგი ხელს უწყობს განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას სხვადასხვა აქტივობებით მთელი სასკოლო საზოგადოებისა და თემის ჩართულობით.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**
   დოკუმენტზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების დაინტერესებული პირებისათვის გამართული იყო შეხვედრები, სადაც განხილული იყო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ვერსიები. ინტერვიურების პროცესში სკოლის თანამშრომლების მიერ დასტურდებოდა სამუშაო ჯგუფის აქტიურობა და თანამშრომლობა ყველა აღწერილი აქტივობა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას.
5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის შენობაში განთავსებულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
   სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლა“. რაც დასტურდება სკოლის წესდებით, ამონაწერით მეწარმეთა და საჯარო რეესტრიდან.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან;
- ინტერვიუ დირექციასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას 2025 წლის 14 მარტის N02-11ს ბრძანებით შეტანილი აქვს ცვლილება 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანებაში და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული/დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და მისცემს მათ სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას.

მეთოდოლიით გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელიც კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფს საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2024-2031 წლებს. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 8 სტრატეგიული მიზანი: 1.სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგება 2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 3.სწავლა /სწავლების ხარისხის ამაღლება; 4. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა რესურსებით; 5.თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება. 6. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; 7. მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით როცესში. 8. მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში. სკოლის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია მისიასთან.

   რჩევა: ***სასურველია, სკოლამ ისე გაწეროს სტრატეგიული მიზნები, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს შესრულებადი 7 წლის განმავლობაში.***

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2024-2031 წლების სტრატეგიულ გეგმას. ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია რვავე სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, თუმცა არ ჩანს რომ იგი ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ SWOT-ანალიზს. **რჩევა:** ***სასურველია, ერთწლიანი გეგმის შედგენამდე სკოლამ გააკეთოს თვითშეფასება, რაზე დაყრდნობითაც დასახავს ახალ ამოცანებს***
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას თვითშეფასებასთან ერთად გადმოგზავნილი ჰქონდა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისინებულია 7 სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და ამოცანების შესრულებისათვის შესაბამისი აქტივობები. სამოქმედო გეგმის მიზნების ფორმირება განსხვავებულია სტრატეგიული გეგმის მიზნების ფორმირებისაგან, თუმცა შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა. აქტივობები გაწერილია თვეების მიხედვით, ანუ განსაზღვრულია რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და ის რესურსი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აქტივობების განხორციელება. ასევე განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები. **რჩევა:** ***სასურველია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნების ფორმირება მოხდეს სტრატეგიული გეგმის მიზნების ფორმირების შესაბამისად და ამის მიხედვით განისაზღვროს ამოცანები, რომელიც შესრულებადი იქნება მითითებულ დროში.***
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას 2025 წლის 14 მარტის N02-11ს ბრძანებით შეტანილი აქვს ცვლილება 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანებაში და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ იანვარსა და ივნისში, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ასევე ორჯერ: მისი მოქმედების პერიოდის შუაში და ბოლოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, სკოლას ჯერ არ განუხორციელებია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, მაგრამ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ შეძლოს აღნიშნულ პროცესს კარგად გაართვას თავი. **პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც ყველა ინფორმაცია საჯაროდ აქვს გამოტანილი, შესაბამისად სკოლას აქვს ყველანაირი წინაპირობა უზრუნველყოს ყველანაირი ინფორმაციის საჯაროობა. **პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, სკოლაში ჯერ არ დამდგარა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები, მაგრამ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია არის წინაპირობა იმისა, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, იგი ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე და შესაბამისობაშია **სკოლის წესდებით** განსაზღვრულ ორგანიზაციულ მოწყობასთან და აჩვენებს ურთიერთმიმართებას სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის. სკოლის დირექტორის N 02-552ს ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლის დირექტორის, ბუღალტრის, მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, სკოლის დარაჯის, დამლაგებლის, ასევე საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დირექციის, დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სასკოლო სასწავლო გეგმა. ამავდროულად, ფუნქციები გაწერილია პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც დასტურდება პერსონალის მიერ საკუთარი ფუნქციების გაცნობის ფაქტი. ***სკოლას მიეცა რჩევა***, სკოლის სტრუქტურა იერარქიულად განალაგოს და ურთიერთდაქვემდებარებული რგოლები მკაფიოდ გამოკვეთოს,რომელსაც ასახავს სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**
   სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს

უკავშირდება. სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხი. სკოლაში წარმოდგენილია ანგარიშვალდებულების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლის სტრუქტურული ერთეული.*
- *სკოლის სტრუქტურა*
- *.ერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *საქმისწარმოების წესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების საშუალებით სკოლის შინაგანაწესით, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, სკოლის წესდებით. სკოლას აქვს დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 02-552ს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს. დოკუმენტში გაწერილია სკოლაში კვალიფიციური კადრის მოზიდვა, განვითარება, შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხები, პერსონალის შერჩევის მექანიზმი, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობები, პერსონალის ადაპტაციის, შეფასების, მოტივირება-წახალისების გზები. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის ჩატარების წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპი გულისხმობს პრევენციაზე დაფუძნებულ დაგეგმვასა და მართვას, რომლითაც მხარდაჭერილია სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობისა და მხარდაჭერის საკითხი. დოკუმენტით განსაზღვრულია ახალი საშტატო ერთეულის საჭიროების შემთხვევები, როგორიცაა: ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, თანამშრომელთა გათავისუფლება, დამატებითი ადამიანური რესურსების მოთხოვნა, მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა, დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და სხვა გარემოებები, როგორიცაა ფუნქციების ცვლილება, ფუნქციების გადანაწილება ან გაუქმება. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა, როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის არყოფნის შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. სკოლაში წარმოდგენილია შეცვლა-გაცდენების ჟურნალი. მასწავლებლის არყოფნისას, უპირატესობა ენიჭება იმავე კათედრის ან მომიჯნავე კათედრის მასწავლებლს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალის შერჩევა-მიღების წესი. სკოლაში პერსონალის საჭიროების განსაზღვრის შემდეგ იქმნება საკონკურსო კომისია და ტარდება ღია კონკურსი. ტარდება ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფების სხდომები, რომელიც დასტურდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერებით. მასწავლებელთა კონკურსის პროცესში ჩართულნი არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული პირები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებლის სახლის, საგამანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები. შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულება. სკოლის პერსონალს აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები:

- ნასამართლობის შესახებ

- საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 331 -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 34 მასწავლებელი, ამათგან 3 წამყვანი და 29 უფროსი მასწავლებელი, 1სპეციალური მასწავლებელი,1 მოწველული მასწავცლებელი, 1 მტუკი, 2დამლაგებელი, 2დარაჯი, 1საქმისმწარმოებელი, 1ბიბლიოთეკარი, 1ბუღალტერი, 1ცეცხლფარეში (სეზონურად). სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. სკოლის დირექტორს N 02 – 520 ს ბრძანებით შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, ექიმის, დამლაგებლის, დარაჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები, რომელიც ადასტურებს სკოლაში მიმდინარე პროცესები: მისია, ხედვა, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფების შექმნა, მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს სხდომები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ფულადი პრემია. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება სკოლის სოციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის პედაგოგთა შესარჩევი კონკურსის მასალები,
- სკოლასა და თანამშრომელს შორის დადებული ხელშეკრულებები;
- სკოლის მიერ განთავსებული ინფორმაცია ვაკანსიის გამოცხადების შესახებ;
- შეცვლა-გაცდენების
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- შინაგანაწესი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, დირექტორს გაწერილი აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული პროცესები ეფუძნება კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობას, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიას. კათედრის თავმჯდომარეები მართავენ პერსონალთან (მასწავლებლებთან) შეხვედრებს, სადაც ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. ანალიზის შედეგად მუშავდება პროფესიული მხარდაჭერის გეგმა, რომელიც აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; პერსონალის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული მექანიზმის საფუძველზე ანგარიშების, თვითშეფასების, უკუკავშირების ანალიზებზე დაფუძნებით, სკოლის დირექტორი ქმნის გეგმას, რაც აისახება ერთწლიან გეგმაში. სკოლას გადამზადებული ჰყავს ბუღალტერი. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა გადამზადებებს საჭიროებების მიხედვით, რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში წარმოდგენილია **29 უფროსი 3 წამყვანი მასწავლებელი.** სკოლა ხელს უწყობს მათ წარდგენას კარიერული წინსვლის გზაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ახალმიღებული პირის ორგანიზაციასთან სოციალიზაციის მნიშვნელობა, რომ სკოლა ხელს უწყობს დასაქმებულების სწრაფ ადაპტაციასა და კოლექტივში ინტეგრაციას. სკოლის პრაქტიკა - ახალმიღებული პირის წარდგენა კოლექტივთან დირექტორის მიერ, კათედრის წევრებთან სამუშაო შეხვედრის ფორმატში, დირექტორი მოსწავლეებს წარუდგენს ახალ მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელი და კლასის დამრიგებლები მართავენ პროცესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა ინიციატივების განხორციელებას პროფესიული განვითარების მიმართულებით. სკოლის პრაქტიკა - პირი წარადგენს ინიციატივას დირექტორთან ზეპირსიტყვიერად, დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში, დირექტორი ინიციატორს სთხოვს წერილობითი ფორმით ინფორმაციის წარმოდგენას, რომელსაც ინიციატორი წარადგენს პედაგოგიურ საბჭოზე და მიიღოს მხარდაჭერა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლების გავლილი ტრენინგების ცნობები.
- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი.
- სკოლის შინაგანაწესი.
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა .
- ესქულის ბაზა.
- პერსონალთა ხელშეკრულებები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის 02-15ს ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს და ორიენტირებულია შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემურ შეფასებასა და მუდმივ განვითარებაზე. ხარისხზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოადგილე. ხარისხის უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია პროცესული მიდგომა: რისკების შეფასება, სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია: 1. მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; 2. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; 3. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, საქმისწარმოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის დირექტორის N 02-554 ს ბრძანებით დამტკიცებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა. აღნიშნული დოკუმენტი იცავს თითოეული მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლება, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. დოკუმენტში განმარტებულია პრობლემის არაფორმალური მოგვარების გზები, საჩივრების განმხილველ ორგანოებად/პირებად განსაზღვრულია სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორი. განმარტებულია საჩივრის სახეები - ადმინისტრაციული და აკადემიური საჩივარი, საჩივრის სუბიექტი, საჩივრის ფორმა, წარმოების ვადები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტი ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის დირექტორის N 02- 554 - ს ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს თითეული მათგანის უფლებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- საინფორმაციო დაფა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს სკოლის შენობის რეკრეაციულ სივრცეებს, სადაც გამოკრულია შესაბამისი ინფორმაცია. სკოლის დირექტორის N02-13ს ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. დოკუმენტში განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს, შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს, ოფიციალური ინფორმაციის გაცემის წესს და მიღებული უკუკავშირის გამოყენების მექანიზმებს სკოლაში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების მიზნით. სკოლა ასევე იყენებს საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად. **სკოლას მიეცა რჩევა,** სასკოლო საზოგადოების მოსაზრების გამოკითხვის შედეგები გაანალიზოს და გამოიყენოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში გაერთიანებულია სკოლის ყველა მასწავლებელი; საგნობრივი კათედრების შემადგენლობაში გაერთიანებულია მასწავლებლების საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე; სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც შედის მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი; ასევე სკოლაში წარმოდგენილია წარმომადგენლობით პრინციპზე დაფუძნებული მრჩეველთა საბჭო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლამდე მისასვლელი გზა არის როგორც საფეხმავლო, ასევე საავტომობილო. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 ღამის დარაჯი ხოლო დღის განმავლობაში მორიგე მასწავლებელი აწარმოებს უცხო პირთა სკოლაში შემოსვლის კონტროლს და შესაბამის რეგისტრაციას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N 02- 557 ს ბრძანებით. პოლიტიკის დოკუმენტის მიზნები: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. როგორც სკოლის დირექტორი განმარტავს, სკოლის ტერიტორიაზე უახლოეს პერიოდში იგეგმება დამატებითი ნაგებობის მონტაჟი, წყლის რეზერვუარებისთვის, რომლის დამონტაჟების შემდეგ სრულყოფილად განხორციელდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღება. სკოლას ჰყავს 2 მანდატური. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ვიდეოსათვალთვალო კამერებით, რაც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სრულიად კონტროლს. სკოლას არ ჰყავს აყვანილი შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლას მიეცა რჩევა,** შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის თაობაზე.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა **უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მიერ გაცემული წერილობითი დასტური**, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებულ შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული დოკუმენტების მიღების ვადად განსაზღვრული აქვს 2026 წლის 11 აპრილი. აქვე უნდა აღინიშნოს , რომ სკოლას აქვს გაგზავნილი მოთხოვნა უფლებამოსილ ორგანოსთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების შესახებ. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება იქნება მეტწილად დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას არ ჰყავს ექიმი. სკოლას 3 - ჯერ აქვს გამოცხადებული კონკურსი ექიმის ასაყვანად, თუმცა არცერთ შემთხვევაში ექიმის ვაკანსიაზე არ იყო დაფიქსირებული არცერთი კანდიდატი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ დამატებით გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე, რაც განთავსდა შესაბამის გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 02-557 ს პოლიტიკის დოკუმენტის მიზნები: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით. სკოლას აქვს 39 ვიდეოთვალი. N 02-12 ს ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ისინი ასევე ახორციელებენ, უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაციას სპეციალურ ჟურნალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის მიზნები: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება დამრიგებლის და ასევე სადამრიგებლო პროგრამები. სკოლის დირექცია პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია შესაბამისი სახდელები ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევაში. სკოლაში დასაქმებული

მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი, სოციო–ემოციური თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და სტაბილური გარემო, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სკოლის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ეცნობა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ,,112"ცხელი ხაზის ნომერი, მანდატურების მობილური სამსახურებრივი ნომრები, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარული ნორმების დაცვის თვალსაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხები ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში. სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე. ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ ოთახებში შენობაში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლა იყენებს ცენტრალური წყლის სისტემას. სკოლას აქვს დისპენსერი 2 ცალი. 2ცალი 10 ტონიანი რეზერვუარი ტექნიკური წყლისთვის. ტექნიკური წყლის რეზერვუარები განთავსებულია სკოლის ეზოში. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, თხევადი საპნით, ნაგვის ურნებით, ხელსახოცებით. სანიტარული კვანძები პრივატულია და დაცულია. საყოველთაო ვირუსების/ეპიდემიოლოგიური ვითარების დროს ხდება ექიმის გამოძახება მუნიციპალიტეტიდან და შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას დირექტორის N 02- 555 ს ბრძანებით შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და

დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. დირექტორის N 02-556 ს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი); გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებ-გვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის დირექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ არის შეფასებადი

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენაზე;

- სკოლის დირექტორის წერილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- ბრძანება მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკის დამტკიცების შესახებ;
- სკოლაში უცხო პირთა რეგისტრაციის აღრიცხვის ჟურნალი;
- ჰიგიენური საშუალებების შესყიდვების ხელშეკრულებები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხები ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში;
- სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- ბრძანება პერსოანლურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლა მდებარეობს სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში. სკოლის მფლობელობაშია: ფართობი 1944მ 2 სკოლის შენობა. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლის შენობა არის 2 სართულიანი, პირველ სართულზე განთავსებულია - რესურსოთახი, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის კაბინეტი, ბუღალტერია, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის კაბინეტი, 7 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, 6

საპირფარეშო, 6 სველი წერტილი, ერთი შიდა სპორტდარბაზი თავისი საცავით და ორი გასახდელი (გოგოები, ბიჭები). მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო თავისი სასადილო ოთახით, საპირფარეშოთი და სველი წერტილით, ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიები, 8 საკლასო ოთახი, 6 საპირფარეშო და 13 სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადით, ტანსაცმლის საკიდით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია თავისი საცავით, სადაც განთავსებულია 28 კომპიუტერი; 4 პროექტორი; 2 ეკრანი; 4 ცალი პრინტერი; 8 ცალი ნოუთბუქი. სკოლა დაფარულია უკაბელო ინტერნეტ ქსელით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო წიგნების ეგზემპლარები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლა ყოველკვირეულად ახორციელებს გაზეთ ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი, რომელიც არის კეთილმოწყობილი. ნულოვან სართულზე განთავსებულია ბუფეტი თავისი საპირფარეშოთი და სამი სველი წერტილით საცავით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკა, შიდა და გარე სპორტული მოედანი, სკოლის დერეფნები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. რესურს კლასში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის. 35 მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) და ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის დირექტორის N 02-559 ს ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლაში იქმნება ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა (წიგნების საცავი

და სამკითხველო), ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს მხატვრულ ლიტერატურას და სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეულ სახელმძღვანელოებს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საინვენტარო წიგნი. ბიბლიოთეკაზე გამოკრულია სამუშაო საათები და ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. **სკოლის ბიბლიოთეკარს მიეცა რჩევა,** არსებული წიგნები დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესით, შესაბამისად კატალოგში ნუმერაციის მიხედვით იქნას გატარებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის შენობა 2 სართულიანია, წარმოდგენილია პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რესურს ოთახი, საერთო სარგებლობის სივრცეები - სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, შიდა და ღია სპორტული მოედანი, სკოლის ეზო), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა.
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები
- სპორტული მოედნის ფოტო
- რესურს-ოთახის ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლაში არის 28 პერსონალური კომპიუტერი და 8 ლეპტოპი, ასევე სკოლას აქვს 3 პროექტორი და 4 პრინტერი. პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები წარმოდგენილია ყველა ადმინისტრაციულ კაბინეტში: დირექტორის, ბუღალტრის, საქმეთამმართველის, ექიმის კაბინეტებში, ასევე რესურსოთახში, სამასწავლებლოში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში, უსაფრთხოების კაბინეტში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. გარდა აღნიშნულისა, პროექტორების გამოყენება შესაძლებელია საჭიროებების შესაბამისად. სკოლაში არის კაბელური ინტერენტი, არის WI-FI სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის დირექტორის N 02-553 ს ბრძნებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ისტ-ის ლაბორატორიის ფუნქციონირების საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას N 1/კ-03 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების დებულება. დებულება არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში წარმოდგენილია: ანბანური წიგნი, სკოლის მოსწავლეთა წლიური შედეგების ჟურნალი, საერთო და საკადრო ბრძანებების ჟურნალი, ხელშეკრულებების ჟურნალი, აკინძული, ბეჭედით დამოწმებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschoolის ბაზა და office 365. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. ასევე 10 დეკემბრის ანგარიში, რომელიც სკოლის დირექტორმა წარადგინა სამეურვეო საბჭოსთან. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** ანგარიშის წარდგენისას სრულად მოიცვას 1 კალენდარული წელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს;
- პრეეზიდენტის, პრემიერ მინისტრის 10 დეკემბრის ანგარიში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას სკოლის პორტალზე და Facebook გვერდის საშუალებით. სკოლის ვებგვერდთან დაკავშირებით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით N 1/კ-04. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. სკოლის პორტალზე და Facebook გვერდზე იდება მხოლოდ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომავლოდ იყენებს მათ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

   ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას აქვს განათლების ერთიანი მართვის სისტემის მიერ შექმნილი ელ. სივრცე - ვებგვერდი ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდზე ასახულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პორტალი;
- სკოლის Facebook გვერდი;

- ბრძანება ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- მშობლის და მოსწავლეთა აქტი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რელევანტურია და შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N02-554ს ბრძანებით. სკოლას მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხები წარმოდგენილი აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შინაგანაწესი დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას აქვს სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დამტკიცებული დირექტორის N 02-554 ბრძანებით. საჩივარს განიხილავს უფლებამოსილი პირი/ორგანო, რომლის კომპეტენციის ფარგლებსაც განეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. საჩივრის

განხილვის ვადაა ერთი თვე. სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, საჩივრების განხილვის პროცედურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტები ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესის მუხლებს, როგორც წახალისების, ასევე პასუხისმგებლობის ფორმებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მოსწავლეთა ქცევის წესებს, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე, კლასის ხელძღვანელები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ. სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი მუხლები სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობება მშობლებს და მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლას სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია: დეტალური ვალდებულებები და უფლებები. მშობელთა კრებებზე მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დეტალურად ეცნობება შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შინაგანაწესის გაცნობის საკითხი, რაც დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ: "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით" (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017); ასევე სკოლის დირექტორის N 02-17 ს ბრძანებით დამტკიცებულია 47 „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმები", ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის წესები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციის მიხედვით, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის პორტალზე, ასევე სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით. მეორე უცხო ენა და არჩევითი საგნები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისა და მშობლებისათვის - მათ სთავაზობს არჩევანს. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია შეთანხმებული, გადამოწმებულია სკოლის დირექციასთან. სკოლის დირექტორის N 1/ კ-04 ბრძანებით სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებ-გვერდის ადმინისტრირებასზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი;
- ბრძანება ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადასვლის, საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმები;(არჩევით საგნებთან მიმართებაში) ;
- ელექტრონული ბაზა;

- მოსწავლეთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ N 02-10 ს ბრძანება, სადაც გაწერილია: პირველკლასელების ადაპტაცია სკოლაში, სკოლაში გადმოსული/ახალმიღებული მოსწავლეების ადაპტაცია, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და აგრეთვე, დეზადაპტაციის ნიშნები და საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, მოახდინოს სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორც ბაღიდან სკოლაში, ასევე საფეხურიდან საფეხურზე, თუ სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში. სკოლა ახდენს სხვა სკოლიდან ახალგადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის დირექცია - ადმინისტრაციასთან ერთად, კლასის დამრიგებლები და მოსწავლეები. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ერთვება სპეციალური მასწავლებელი და საჭიროების

შემთხვევაში, ასისტენტი. სასწავლო გარემოსთან წარმატებული ადაპტაციის ხელშეწყობისათვის ახლადგადმოსულ მოსწავლეს ხვდება კლასის დამრიგებელი, რომელიც წარადგენს მას კლასთან და პედაგოგებთან. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად სასწავლო წლის პირველ დღეს ეწყობა საზეიმო ღონისძიებები. მოსწავლეებს ხვდებათ კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდის წესი და რემედიაციის საკითხები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის წლიური შეფასება იქნება 5.0 ქულაზე ნაკლები სკოლა ჩართავს მას რემედიაციის პროგრამაში და უზრუნველყოფს მოსწავლის სათანადო მხარდაჭერას მასზე მორგებული სასწავლო პროგრამისა და მეთოდების შეთავაზებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება მიმართვის შემთხვევებში - სემესტრული გამოცდა, სკოლაში ჩარიცხვა, მობილობა, სსსმ მოსწავლის შეფასება, ცნობის გაცემა და სხვ. სკოლაში ძალიან ხშირია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების და მათი მშობლების მიერ. შესაბამისად, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მათი მშობლები, რაც მოსწავლეებში შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარების გარდა, ბავშვის პროცესებში მონაწილეობის უფლების რეალიზებას ახდენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: დებატკლუბი, ეკოკლუბი და ლიტერატურული კლუბი. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან „აისი“. ტარდება ერთობლივი ღონისძიებები და სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კარიერული წინსვლის მიზნით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას. სკოლა მოსწავლეებს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ფარგლებში სთავაზობს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს, იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ, თემის ფარგლებში. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესში. სკოლაში ხორციელდება პროექტები/პროგრამები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა ახორციელებს მოსწავლეების, მშობლების და დაინტერესებულ პირთა ჩართვას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა თუ გამოკითხვებში, შემდეგ აანალიზებს მიღებულ უკუკავშირებს და ამ შედეგებს იყენებს კონკრეტული მომსახურების გასაუმჯობესებლად და მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად. სასკოლო საზოგადოების წევრებს თავიანთი მოსაზრებებისა და სურვილების დაფიქსირება შეუძლიათ სკოლის დირექციასთან. უკუკავშირის მიღების მექანიზმებია ინდივიდუალური შეხვედრები, დისტანციური კომუნიკაცია, მშობელთა კრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი;

- კლუბების დოკუმენტაცია და ფოტო მასალა;
- პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- პროგესიულ კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
- სკოლის დერეფანში სპორტული აქტივობების ამსახველი მასალა, ჯიდლოები, სერტიფიკატები, თასები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სტრატეგიული გეგმით/ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის საკითხები. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა პროფორიენტაციის საკითხები და კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების მოწყობას, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა „კავკასიის უნივერსიტეტის“ და „ალტეს“წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი თანამშრომლობაზე კოლეჯთან, პროფესიულ სასწავლებელ „აისთან.“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის პრაქტიკა - რეგულარულად ხდება საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრას, სურვილის შემთხვევაში, ესწრებიან მშობლები/ მოსწავლის კანონიერი

წარმომადგენლები. შეხვედრაზე დამსწრე პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ასევე სკოლის სოციალურ გვერდზე იტვირთება ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლების თუ სხვა შესაძლებლობების შესახებ. სკოლა აწვდის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლისა და უმაღლესი სასწავლებლის ღია კარის დღეების შესახებ. ვიზიტებს აწყობს რესურსცენტრის, მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლას აქვს პრაქტიკა მოსწავლეებში საინტერესო პროფესიის შესახებ გამოკითხვისა და აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, გეგმავს შესაბამისი პროფესიების მქონე ადამიანებთან, ორგანიზაციებთან ვიზიტებს/შეხვედრებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- ფოტო მასალა.
- მემორანდუმი თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
- მემორანდუმი კოლეჯ ‘აისთან’

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. სკოლას გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთა განათლების რეგულირების საკითხები სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი. შექმნილია ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში წარმოდგნეილია ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები, ოქმები, ისგ-ები, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გრაფიკები. სკოლას აქვს რესურს ოთახი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 0 ასისტენტი. სკოლაში არის 2 სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიან: სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და მშობელი. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობელთა ერთობლივ საქმიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;
- ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
- ისგ ჯგუფის ბრძანებები;
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გრაფიკები;
- ისგ-ები;
- ისგ ჯგუფების მუშაობის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლა გეგმავს კვების ბლოკის ამუშავებას, რადგან შენობა ახლადრეაბილიტირებულია, სკოლა იჯარის ფორმით გაცემს ფართს კვების ბლოკის ფუნქციონირებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლა სამომავლოდ გეგმავს დამატებითი არასავალდებულო მომსახურების გაწევას, მშობელთა მოსაზრებოს გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლას აქვს მზაობა, რომ მომსახურება განახორციელოს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ დირექციასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას 2024 წლის 16 სექტემბრის ბრძანება N2-512ს-ის მიხედვით შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. მეხუთე თავის მიხედვით განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული მხარეები, რომელთა ჩართულობა არ უნდა შემოისაზღვროს მხოლოდ ინფორმირებითა და კონსულტირებით, არამედ ინტენსიური თანამშრომლობით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუსავების მეთოდოლოგია. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმზე მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და წინა წლის შედეგებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმს იცნობს სასკოლო საზოგადოება. სასკოლო სასწავლო გეგმა ატვირთულია ვებ გვერდზე; კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმაცია მიწოდებულია მშობლებისათვის. ზოგიერთ საკლასო ოთახში გამოკრულია შეფასების ინდიკატორები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *შემაჯამებელი დავალებების რეფლექსია*
- *მშობელთა კრების ოქმი*
- *კათედრის ოქმი*
- *კურიკულუმის ჩარჩო*
- *სკოლის საინფორმაციო დაფა*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო

	პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ საბუნებისმეტყველო საგნებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ყურადღება გაამახვილონ შეფასებაზე. ამ ეტაპზე სკოლას აქვს ლაბორატორია, იყენებენ თვალსაჩინოებას ელ. რესურსების სახით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი. ასევე მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში. პროექტების ფოტო მასალა გადმოგზავნილია დოკუმენტებში. მოცემულ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამივე საფეხურის კურიკულუმები: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა. გასუბრების დროს პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს ითვალისწინებდნენ მოსწავლეების ინტერესებს და შესაძლებლობებს. რჩევა: ***სასურველია, სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ჩაიწეროს სწავლების საფეხური, მოსწავლეთა რაოდენობა (მ.შ. სსსმ რაოდენობა), საათების წლიური/სემესტრული/თემატური განაწილება. უმჯობესია, რომ კათედრაზე შემუშავდეს საგნობრივი კურიკულუმის ერთიანი შაბლონი.***
უცხოური ენები	სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისთვის ორივე უცხოურ ენაში (ინგლისური ენა და რუსული ენა). კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრას შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვს საინტერესო კომპლექსური ტიპის დავალებები უცხოურ ენებში შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან იკვეთება რომ კურიკულუმი ისე შეადგინეს, სადაც მოხდა მოსწავლეთა ინტერესების შესაძლებლობების და ასაკის

	გათვალისწინება. დოკუმენტები ისეა შედგენილი, რომ მასში იკვეთება მოსწავლის სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვა და განვითარების გზა
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა-განვითარებას. სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე ისე, რომ ორიენტირებული იყოს მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , შემოქმედებითი დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს, სკოლის შუალედური მიზნები უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ჩარჩო- დოკუმეტში შეინიშნება მცირე ხარვეზები, რომლებიც განემარტა სკოლის წარმომადგენლებს და მიეცა **რჩევა:** ***საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლის სახელმწიფო ენის ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტებში (VII-X კლასები) კონტექსტ-მაგალითებად მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე, ზოგან არეულია საკითხები და შემოქმედებითი დავალებები პირობები. სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში სწორად და სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი მისი შემადგენელი ელემენტები.***
მათემატიკა	გადმოგზავნილი და მასწავლებლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **რჩევა:** ***სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.***

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს).
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი შუალედური მიზნები, წარმოდგენილი თემები, რესურსები და შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტები. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებული მიდგომა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადებაში წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება, ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, ყველა საგანში შესაბამის თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები შემოქმედებითი ბუნების დავალებებით. სავალდებულო თემები წარმოდგენილია ყველა საგანში, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მესამე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი, რომელშიც თემები არასწორადაა შეტანილი, ამის შესახებ კათედრის პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ კურიკულუმი შეადგინონ საგნის სტანდარტის მიხედვით. *მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება, რაც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში და პედაგოგებთან განხორციელებული გასაუბრებისას, მათ დაადასტურეს რომ კურიკულუმები შემუშავებულია საფეხურეობრივი გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილია განსახორციელებელი შემოქმედებითი პროდუქტები, რესურსები, წყაროები. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივმა პედაგოგებმა შეიმუშაონ ისეთი კურიკულუმები, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მათი მოსწავლეების შესაძლებლობებს, უნარებს, მისწრაფებებს. გაითვალისწინონ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნები, კერძოდ, საგნობრივი მიზნების განხორციელების აუცილებლობის მნიშვნელობა და განსახორციელებელ მრავალფეროვან დავალებებთან (პროექტი, ესე, მოხსენება და ა.შ.) მათი უშუალო კავშირი.***
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, პროექტული ტიპის დავალებები), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკისა და ხელოვნების საგნებში სასწალო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და ეროვნული სასწავლო გეგმის და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნულ

	სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობ. და სხვ. მიუხედავად ზემოთ მოცემული აღწერილობისა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში შეინიშნება მცირე აცდენა ეს გეგმასთან, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დავაზუსტე, მათ ისაუბრეს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვეს სურვილი კურიკულუმის რედაქტირების, მოხდა მათ მიერ დოკუმენტის ჩასწორებ და თავიდან გამოგზავნა, რის შემდგომ საგნობრივი კურიკულუმი დაექვემდებარა შესაბამის მოთხოვნებს. *რჩევა:დაწყებითი საფეხური* *სასურველია მე-4 კლასის ხელოვნების კურიკულუმში პირველი თემა „გრაფიკა და ფერწერა“ შეიცვალოს უფრო შემოქმედებითი სათაურით მაგ: „წელიწადის დროები“, ძირითადი საკითხი „პოსტერების აფიშების ნიმუშების ჩვენება“ კი თემასთან შინაარსით ახლოს საკითხით.* *მე-3 თემა „არქიტექტურა და ქანდაკება“ შეიცვალოს თემით მაგ: „ნივთები ჩვენს გარშემო“ ან „ჩემი საყვარელი დღესასწაულით“* *მე-5 კლასის საგნობრივ კურიკულუმში მეექვსე თემას შეეცვალოს ქვეთემა ,* *,ჩემი სამშობლო“თი* *მე-6 კლასის ხელოვნების კურიკულუმში პირველ და მეორე თემის სათაურები შეიცვალოს უფრო შეემოქმედებითი და სიღრმისეული სათაურებით მაგ: მოგზაურობა ევროპულ ქალაქებში“ და მოგზაურობა აღმოსავლეთ ქვეყნებში“, ასევე დაემატოს მინიმუმ ორი თემა და ქვეთემა სასწავლო დღეების, საგნის სტანდარტისა და საფეხურის მოთხოვნის შესაბამისად.*
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ისეთი უნარების განვითარებას , როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება კომუნიკაცია და

	თანამშრომლობა. მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეაა ჩანახატის შექმნა ანა კალანდაძის ლექსზე ,,შენ ისე ღრმა ხარ...“ ასევე, რევაზ ინანიშვილის მოთხრობის ,,ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“ მიხედვით კომიქსის შექმნა- VI კლასი; ,,წერილი ჩემს მეგობარს“- წერილების შექმნა ნასწავლი ტექსტების მიხედვით- VII კლასი; დისკუსიის გამართვა სასულიერო პირის დამსახურებათა შესახებ ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების„ მიხედვით - Xკლასი; დასახელებული შემოქმედებითი დავალებების იდეები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.
მათემატიკა	კურიკულუმებში გაწერილია ესგ შესაბამისად ყველა სამიზნე ცნება, ასევე თემები რომელიც უნდა იქნას სასწავლო წლის განმავლობაში დაძლეული. ასევე ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები, წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გადატანის საშუალებას იძლევა.
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებების იდენტურია. შემოქმედებითი დავალებები ორენტირდება სამიზნე ცნებებზე და მოიცავს პრაქტიკულ/ცხოვრებისეულ დავალებებს, რაც ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბება/განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, პრობლემების გადაჭრა და ემსახურება საკვანძო კომპეტენციების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, იმ კლასებში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. მიმართულებების მიხედვით არ არის განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს

	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. *რჩევა:სასურველია, დაწყებით საფეხურზე განახლდეს ყველა კლასის კურიკულუმი, რადგან მიმართულებების მიხედვით ყველა სამიზნე ცნება და მასში შემავალი საკითხები უნდა იყოს დამუშავებული მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა დაძლეულ იქნას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით დაწყებითი საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგი. წარმოდგენილ კურიკულუმებში სვეტი „თემა“ ჩანაცვლდეს დასახელებით „მიმართულება“.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I-IV) კლასების კურიკულუმები მოიცავს ეროვნულ სასწვლო გეგმაში წარმოდგენილ თემებსა და თემატურ ბლოკებს, შემოქმედებითი ბუნების დავალებები(კომპლექსური, პროექტი) შესაბამისბაშია თემებთან და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში სკოლა იყენებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, აქვთ რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი,იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს, ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ დამზადებულ პრეზენტაციებს. მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები (რაც ჩანს გადაღებულ ფოტო-მასალაში) კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის მაღალ დონეზე, სკოლაშივე მუშაობის შესაძლებლობა აქვს სკოლას
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო მეტად გაამახვილებენ ყურადღებას რესურსების შერჩევა-შექმნას, მათ შინაარსობრივ კავშირს

	შესასწავლ თემასთან მიმართებით. სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, და უმჯობესია კურიკულუმებში მათი სრულყოფილად ასახვა. ***რჩევა:*** *გასაუბრების შედეგად პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე შეივსება და დაიხვეწება ახალი სასწავლო წლის განმავლობაშიც. საკითხების შესწავლის და შემოქმედებითი პროდუქტის შესრულებისთვის სასურველია მიეთითოს შესაბამისი დამატებითი ლიტერატურა და რესურსებიც (მ.შ. თავად პედაგოგის მიერ შექმნილი, მაგ.:პრეზენტაცია, პოსტერი და ა.შ.). სასურველია კურიკულუმებში მეტად იყოს წარმოდგენილი მრავლაფეროვანი რესურსები – აპლიკაციები, სქემები, სტატისტიკური მონაცემების ბაზები, ვირტუალური მუზეუმები, მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, ხელსაწყოები (კომპასი, თერმომეტრი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ჰიგრომეტრი, ფლიუგერი და ა.შ.).*
უცხოური ენები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (სახელმძღვანელო, მოსწავლის სამუშაო რვეული), აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად მათი თქმით შემოქმედებითი ტიპის დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ.

	საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის, მათ შორის საკუთარი ხელით დამზადებული რესურსებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენებით. ეს ყველაფერი სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში იკითხება სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია წარმოდგენილი
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში სკოლას საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალმხრივი რესურსები აქვს წარმოდგენილი. სახელმძღვანელოსთან ერთად მასწავლებელები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა ტექსტურ მასალას, ვიდეოფილმებს, ანიმაციას, ინტერნეტმასალას თემებთან მიმართებაში. მაგალითად: სამიზნე ცნება ,,ჟანრის" დასაუფლებლად ძირითადი ტექსტის ,,თავფარავნებლი ჭაბუკი" პარალელურად ფილმის შეთავაზება : ,,შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე'', ასევე ფერწერული ტილოები ძველი ბერძნული მითის ჰეროსა და ლეანდროსის სიყვარულზე (VII კლასი). პედაგოგების მიერ გაწერილი რესურსები, ძირითადად, მიზნობრივ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან, თუმცა ზოგჯერ კონტექსტ- მაგალითებად წარმოდგენილ ტექსტებს აკლია დაკონკრეტება და ბუნდოვანია მათი თემასთან მიმართება .
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილია ის ძირითადი რესურსები რომლების საშუალებას მისცემს მასწავლებელს სასწავლო პროცესი გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მათი უფრო მეტი ჩართულობა უზრუნველყონ ძირითადად მითითებულია ლინკები. ***რჩევა: სასურველი იქნება, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული იქნას ისეთი რესურსები რომელიც დიფერენცირებულს გახდის სასწავლო პროცესს.***
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი

	ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნის შესაბამისი რესურსი (ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები) მიზნობრივია, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსები (მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი School.emis.ge, Scratch, Office 365, „ვსწავლობთ თამაშით“, და სხვა) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან აღნიშნული რესურსი დატვირთულია საინტერესო კომპლექსური დავალებებით და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით. **რევა:** ***სასურველია, დაწყებით საფეხურზე სამიზნე ცნების - ციფრული მოქალაქეობის დამუშავების დროს დამატებით გამოიყენონ რესურსი „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის“, რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრას საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის,როგორც ციფრული რესურსები, ასევე მათივე ხელით შექმნილი თვალსაჩინოებები: თემატური პოსტერები, ცხრილები, მოძრავი ანბანი, მაგნიტური დაფა, ციფრები და ა.შ. რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მიმართულების გაძლიერების მიზნით

	მუშაობენ ინდივიდუალურად ოლიმპიადის ამოცანებზე და კონფერენციებზე. ამ ეტაპზე ისგ გეგმით სარგებლოს სკოლის რამდენიმე მოსწავლე. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. სკოლას აქვს რესურს ოთახი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებიდან და დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგები ახორციელებენ მრავალ აქტივობას სასწავლო წლის განმავლობაში. საგნობრივმა პედაგოგებმა წარმოადგინეს მრავალი აქტივობა, რომელიც განხორციელდა მიმდინარე სასწავლო წელს – სამოქალაქო კლუბი „ახალი თაობა“ და „დებატ კლუბი“-ს მიერ განხორციელებული აქტივობები; პროექტები: „განათლება საქართველოში ძველად და ახლა“, „ადიქცია“, „ჩვენი წინაპარი – დავით აღმაშენებელი“, „გარემოს დაცვა“ (XI კლ.), და სხვ. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე პედაგოგებმა საგნობრივ კურიკულუმებში ასახონ მოსწავლეების მიერ პროექტების განხორციელების მნიშვნელობა, თუ რომელ გრძელვადიან მიზანზეა ორიენტირებული და რომელ სასწავლო შედეგებზე გადის აღნიშნული პროექტი.***
უცხოური ენები	კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის თითოეული მოსწავლე; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა დიაგნოსტიკური ტესტის საფუძველზე, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმების, სხვა დამატებითი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც

	კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები შემოქმედებითი ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს კი აქვს დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლება საველე სამუშაოს, სხვადასხვა დარგის ნამუშევრების შესწავლას დათვალიერებას და ხილვას მოიაზრებს, მასწავლებელების თქმით ეს პროცესი მოსწავლეტა ინრეერესებიდან და უნარებიდან გამომდინარე შეარჩიეს.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. დოკუმანტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. ცხადია, რომ ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. სკოლამ მე-5 კლასის მოსწავლისათვის წარმოადგინა ინდგეგმის ნიმუში, რომელშიც გაწერილია მოსწავლის შესაძლებლობები, კომპლექსური დავალებების იდეები და პროგრესის შეფასების სქემა. მოცემულ ნიმუშები კარგად ჩანს როგორც დავალების პირობის, ისე აქტივობების ადაპტირება და მორგება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებზე. ამის გარდა, შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც გაწერილია საგნობრივ კურიკულუმებში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას.
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს ისგ გეგმები რომელიც საშუაქლებას იძლევა რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები იქნას აღწერილი, ამასთან კომპლექსური დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. **რჩევა:** ***სასურველი იქნება, სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურზე ტესტები შემუშავდეს იმდაგვარად რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა მაქსიმალურად მოხდეს.***

სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისთვის. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე.*** ***მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა)***
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებელს მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე კომპლექსური დავალებები. ტექნოლოგიების მასწავლებელს შედგენილი აქვს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მასწავლებელი მოსწავლეებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტებს სთავაზობს და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უმარტივებს დავალების პირობას, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, გაკვეთილზე აქტივობები იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით, შემოქმედებითი ბუნების დავალებებში გათვალისწინებულია დავალებები

	სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარადაგინა დოკუმენტაციის სახით სამივე საფეხურისთვის შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ასახავდეს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას. ასევე სასურველია სამიზნე ცნებები შეესაბამებოდეს სტანდარტს.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით ხდება შემდეგ კომპონენტებში: მიმდინარე საშიანო და საკლასო დავალებები და შემაჯამებელ დავალებები, შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით, და შეფასებების აღრიცხვა ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ხდება. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავონ და საზოგადოებრივი კათედრის სხდომაზე დაამტკიცონ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, რომელიც დაკავშირებული იქნება კურიკულუმებში განსახორციელებელ შემოქმედებით პროდუქტების გრძელვადიან მიზნებთან და საგნობრივ შედეგებთან. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უნდა ეფუძნებოდეს ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებს.***

უცხოური ენები	კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლის ნამუშევრები ორივე უცხოური ენისთვის, სასწავლო პროცესის შეფასება, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც ე.ს გეგმისა და საგნის სტანდარტის შესაბამისად სარეკომენდაციოდ არის შემოტანილი ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს შეფასების მნიშვნელობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის, ასევე დოკუმენტებში ნათლად ჩანს სკოლის მიერ განმსაზთვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები როგორ იყო მორგებული გრძელვადიან სამიცნე ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ ვფიქრობ რომ ეს რუბრიკები მაინც არ აფასებდა კონკრეტულ მოსწავლეს კონკრეტულ თემასთან მიმართებიაში. მიუხედავად მათი პრაქტიკისა და გამოცდილებისა რუბრიკები ატარებდა ზოგად ხასიათს. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლის განვითარების გზას გვიჩვენებს, მოერგოს კონკრეტულ თემას და იმ სამიცნე ცნებებს, რომლის ფარგლებში ვაფასებთ მოსწავლეს.***
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების, დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. მათ, აგრეთვე შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში (მაგალითად, საშუალო საფეხურზე განხორციელებული პროექტის ,,ანა კალანდაძე-100“ შეფასების რუბრიკა). ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ

	რუბრიკებში. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
მათემატიკა	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია შემაჯამებელი წერის ნიშანი, საკლასო აქტივობებში ჩართულობა. ითვალისწინებენ საპრეზენტაციო უნარებს და მოსწავლის მიერ საკითხის გააზრებას სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. **რჩევა:** ***სასურველია, საგაზო და საშუალო საფეხურზე დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ მაინც.***
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მასწავლებელი შეფასებისას იყენებს როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ტექნოლოგიებში წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა -კრიტერიუმებთან მიმართებით, სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით სფეხურზე ყველა საგანში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ როგორც ზოგადი შეფასების

	რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, რომელშიც ჩანს სადიგნოსტიკო წერის დროს გამკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები და მათი ანალიზი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
  - *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*
  - *კათედრის ოქმი*
  - *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. ასევე, კათედრათაშორისი თანამშრომლობით იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. იგეგმება ინტეგრირებული გკვეთილები, ურთიერთდასწრება. ძირითადად სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად იგეგმება, შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს. **რჩევა:** ***სასურველია სამივე საფეხურზე პედაგოგებმა აწარმოონ თვითრეფლექსია და მიღწეული შედეგები ასახონ***

	კურიკულუმებში; მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნა დაეხმარება სასკოლო საზოგადოებას გაეუმჯობესოს საგნობრივი კურიკულუმები.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული მეთოდები და შეფასების ფორმები. ამის მტკიცებულებაა კურიკულუმები, სადაც ასახულია სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები. **რჩევა:** *სასურველია, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი იყოს დიფერენცირებული აქტივობები დიაგნოსტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეთა განსხვავებული მზაობის მქონე ჯგუფებისთვის.*
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რათა მოხდეს მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. კათედრამ წარმოადგინა სხვადსხვა საგნებში განხორციელებული ღონისძიებები, პროექტები და აქტივოებისამსახველი მასალები თავისი რეფლექსიებით და მოსწავლეთა ნამუშევრებით, ასევე მათ მიერ შექმნილი სხვადსხვა შემოქმედებითი პროდუქტები, მუშაობის ამსახველი ფოტო მასალები, აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლა და ესთეტიკის კათედრა კურიკულუმის შესაბამისად ახორციელებს სასწავლო და საგაკვეთილო პროცესს.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს სკოლის მტკიცებულებებში. სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. მაგალითად: მე-9 კლასში წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმა, რომელშიც აღწერილია საგაკვეთილო პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, გამოყენებული მეთოდები და სასწავლო რესურსები. ასევე, ინტეგრირებული გაკვეთილის (ქართული და ბიოლოგია) რეფლექსია, დაწყებით საფეხურზე განხორციელებული

	კომპლექსური დავალების ამსახველი ფოტომასალა ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამება სასწავლო კურიკულუმს.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ჩართოს მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში. **რევა:*სამივე საფეხურზე ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სასურველია, კათედრაზე მჭიდრო თანამშრომლობის გზით იქნას მიღებული.***
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.
ტექნოლოგიები	მასწავლებლებთან გასაუბრებით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და კურიკულუმების ანალიზით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიზანმიმართულად არის დაგეგმილი და შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმთნ. აღნიშნული დადასტურდა როგორც სასწავლო დოკუმენტაციის ანალიზით, ასევე პრაქტიკაში გამოყენებული სწავლების მეთოდებით და შეფასების სტრატეგიებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ მასწავლებლის სკოლაში არ გამოცხადების შემთხვევაში, სკოლაში არ ცდება გაკვეთილი, ხდება იგივე გაკვეთილზე სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება შესაბამისი კათედრიდან. ვინაიდან კათედრის წევრებს ერთად აქვთ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი, კურიკულუმის განხორციელებასაც არ ექმნება პრობლემა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ პედაგოგებთან გასასუბრებისას გაირკვა, რომ შეფასების სისტემის შემუშავებაში მონაწილეობდა კათედრის ყველა წევრი. მიზანშეწონილია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდებოდა მათი შეფასება სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს და ა.შ. **რჩევა:** ***სასურველია სამივე საფეხურზე დაიხვეწოს არსებული შეფასების რუბრიკები. აქტივობების მიხედვით შექმნან – ესე-ს, მოხსენების, პრეზენტაციის, სტატიის, კომიქსის, პოსტერის, ბლოგის, ვლოგის, ვიდეო მიმართვის და ა.შ. – შეფასების რუბრიკები, სადაც ნათლად იქნება ნაჩვენები შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ესგ-ის საგნობრივი სტანდარტების შედეგებთან იქნება კავშირში.***
უცხოური ენები	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის

	განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი ეფექტური შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში გამოკვეთილია შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, იციან როგორ შეაფასონ მოსწავლეები გამოთქვეს სურვილი, რომ ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიერების დროსაც დაადასტურეს მასწავლებლებმა.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განამვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ზოგად რუბრიკებთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტულ თემებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებები, სამიზნე ცნებების შესაბამისად. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში.
მათემატიკა	მოწოდებული შეფასების რუბრიკები არის თემის შესაბამისად შედგენილი. მოცემულია შიგნით სამივე სამიზნე ცნება და მისგან გამომდინარე ინდიკატორები.
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ტექნოლოგიები	შეფასების სისტემის ვალიდურობაზე, გამჭირვალობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე, სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **რჩევა:** ***დაწყებით საფეხურზე სასურველია ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ახლდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც კონკრეტულად ამ დავალებაზე იქნება მორგებული.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების აქტუალურობა და მინშვნელობა სასწავლო პროცესში, შეფასების რუბრიკებში ასახულია რა ცოდნას და უნარებს ამოწმებს შეფასება, მოსწავლეებმა იციან კონკრეტულად რა და როგორ ფასდება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს რომ შეფასება ვალიდურია, გამჭვირვალეა, ობიექტური და სამართლიანი,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც გეგმავს შეფასებისა და ტესტების ვერიფიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას აქვს გამოცდილება შეინახოს დოკუმენტაცია. სკოლაში ინახება წინა წლების ბრძანებები, პედსაბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები და ა.შ

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- კათედრის ოქმები.
- *შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პროექტები და პროექტის რეფლექსია*
- *ისგ გეგმა*
- *შემაჯამებლების ანალიზი*
- *ინდ გეგმები*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები*
- შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები;

- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- *გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები ლაბორატორიები, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული, ბიბლიოთეკა, სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნებში არის ლაბორატორიული აღჭურვილობა. რესურს-ოთახი თვალსაჩინოებებით
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში და თითოეული მათგანი (სახელმძღვანელოები და ინტერნეტ-რესურსები) ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **რჩევა:** ***დაწყებით საფეხურზე სასურველია სასწავლო პროცესში გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელო „გამარჯობა რუბი“, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი კლასებში კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფლებას. ასევე კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარის განვითარებას***
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ისე დამატებითი დამხმარე რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებთან შესაბამისობას. სასწავლო პროცესში ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია აუდიო-ვიზუალური მასალა, სამუშაო ფურცლები და ინტერნეტრესურსები. ამის მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსების ნუსხა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა მასწავლებლების მიერ უზრუნველყოფილი მატერიალურ რესურსებს), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა

	დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ.
მათემატიკა	სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ როგორც ძირითად რესურსს, გრიფირებული სახელმძღვანელს სახით ასევე დამატებით რესურსს, რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ შესაბამის საფეხურის მიზნებს.
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს.
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ნიმუში. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ რესურსებს. კურიკულუმის ანალიზმა და მასწავლებელთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მიზნობრივი შედეგების მიღწევას.

	რჩევა: ***დაწყებით საფეხურზე სასურველია სასწავლო პროცესში გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელო „გამარჯობა რუბი“, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი კლასებში კომპიუტე-რული მეცნიერებების საწყისების დაუფლებას. ასევე კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარის განვითარებას***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კლასების კათედრა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებში სუსტად არის ასახული დამხმარე რესურსების ვალიდაცია. **რჩევა:** ***სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვნად აისახოს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები***
უცხოური ენები	რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება საგნობრივ კათედრაზე შეთანხმების და რეკომენდაციის საფუძველზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, რაც ადასტურებს რესურსების მიზნობრივ და პასუხისმგებლიან შერჩევას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ძირითად რესურსად სახელმძღვანელოა და სამინისტროს მიერ სარეკომენდაციოდ შეთავაზებული რესურსებია მითითებული

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის უზრუნველყოფას სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ასეთ რესურსებად მითითებულია როგორც სხვადასხვა ლიტერატურა, ისე საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, სურათები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ფილმები, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ. ურთიერთდასწრების შემდეგ წარმოდგენილი ანგარიშები გვიჩვენებს, რომ მათი გამოყენება ხდება მიზნობრივად და შედეგიანად;
მათემატიკა	დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრაზე და შესაბამისად აისახება კურიკურუმში. **რჩევა:** ***სამივე საფეხურზე სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.***
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.
ტექნოლოგიები	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსები სრულდ შეესაბამება ერუვნული სასწვლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და შესასწავლ თემებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლა შესაბამისი რაოდენობის მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს საჭირო მატერიალური რესურსებით: ლაბორატორია, სახელმძღვანელო და დამხმარე ელექტრონული რესურსებით, კომპიუტერებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო და საგნობრივი დოკუმენტაციიდან, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სასკოლო ინვენტარი, ბიბლიოთეკა).
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესის სრულყოფილი და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და საგნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლას უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურას კონკრეტული პედაგოგები ასწავლიან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე - სხვა პედაგოგები, თუმცა ისინი სისტემეტურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს უთანხმებენ ყველა საჭირო საკითხს თუ რესურსს.
მათემატიკა	კათედრაზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა რესურსების მობილიზება ისე რომ ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება იქნას გათვალისწინებული.
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ რესურსი (სათამაშო ინვენტარი) და შეუძლიათ ერთდროულად რამოდენიმე კლასთან ჩაატარონ ხარისხიანი გაკვეთილი, ყველა მოსწავლე იყოს დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი

	აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, ზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რასაც ადასტურებს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვილობა. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია. უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით დამხმარე ლიტერატურას და ციფრულ და მატერიალურ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლას ჰყავს უფროსი და წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებლები. სკოლაში დასაქმებულია ერთი მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს დადასტურებული შესაბამისი საგნის სწავლების კვალიფიკაცია. ამ მასწავლებელთან გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება, რადგან გამოცხადებულ ვაკანსიაზე ვერ მოხდა შესაბამისი მასწავლებლის შერჩევა. როგორც სკოლაში განმარტეს, მომავალი სასწავლო წლიდან ყველა მასწავლებელს ექნება შესაბამისი საგნის გამოცდა ჩაბარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გამოაცხადოს ვაკანსია კვალიფიციური მასწავლებლის აყვანის მიზნით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- კათედრის ოქმები.
- *შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პროექტები და პროექტის რეფლექსია*
- *ისგ გეგმა*
- *შემაჯამებლების ანალიზი*
- *ინდ გეგმები*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები*
- *კურიკულუმების ჩარჩოები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *კომპლექსური ბუნების დავალებები;*
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათერის ანგარიში;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას აქვს კურიკულუმის შეფასების მეთოდოლიგია. მასში გაწერილია როგორ განხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. ასევე სკოლაში არსებული ხარისხის მართვის დოკუმენტში გაწერილია რომ კურიკულუმის შემოწმება მოხდება წელიწადში ერთხელ, რისკების შეფასების საფუძველზე. სკოლა გეგმავს შემუსავებული დოკუმენტაციის შესაბამისად განახორციელოს შეფასება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში ჩატარებულია დიაგნოსტიკური წერები, გაკეთებულია ანალიზი, ასევე სკოლამ გააკეთა თვითშეფასება.სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა რომ სკოლის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს სწორედ შეფასების შედეგად განსაზღვრავენ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, იგეგმება პროცესში აქტიურად ჩაერთოს სკოლის მოსწავლეები და მშობლები, შესაბამისად კურიკულუმის შეფასება ხორციელდება იმისათვის, რომ მოხდეს როგორც მოსწავლეთა მხარდაჭერა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მასწავლებელთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- რეფლექსიები
- დიაგნოსტიკური წერების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

კათედრებზე შემუშავებულია შეფსების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სასწავლო პროცესზე გამოყენებული აქტივობების შეფასება. ფასდება შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური ბუნების დავალებები, საშინაო დავალება, საკლასო აქტივობები.სკოლაში აღინიშნა, რომ შეფასების პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც ინფორმაციია მიღების წყარო, ესენია მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის სხვა პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში თემი, მშობელი, სკოლის დირექცია უზრუნველყოფს შეფასების საჭიროებებიდან გამომდინარე ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსის გამოყენებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლა გეგმავს შეფასება განახორციელოს სხვადასხვა კონტექსტით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, დიაგნოსტიკურ ტესტს, შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს ყველა იმ გარემოებას, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას, როგორიცაა სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სამუშაო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და სოციუმი, კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები. სრულყოფილი სისტემური ინფორმაციის მოგროვება უზრუნველყოფს დანერგვის პროცესში გამოყენებული კურიკულუმების შედეგის ამსახველი მასალების უტყუარობას, რაც შეფასების და მონიტორინგის შემუშავების პროცესში სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია. მასწავლებლები კათედრებზე შემუშავებული შეფასების ფორმების, რუბრიკების, განხორციელებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის და სტატისტიკის სახით განახორციელებენ მონაცემთა შეფასებას

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ შეფასებისას სასკოლო საზოგადოებისათვის პრიორიტეტულია თითოეული კომპონენტის, მიღწეული შედეგის, სასწავლო სიტუაციის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, ამიტომ სკოლაში შეფასება ხდება არა მხოლოდ აკადემიური უნარების ჭრილში, არამედ დიდი ყურადღება ექცევა ფუნქციურ უნარებსაც, კერძოდ, რამდენად უწყობს ხელს ახალი სასწავლო მიდგომები მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარებას და რამდენად მდგრადია ეს პროცესი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მასწავლებელთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- რეფლექსიები
- დიაგნოსტიკური წერების ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ იგი გეგმავს . მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ჩამოაყალიბოს საჭიროებათა პაკეტი, რომელიც აისახება და შესრულდება სკოლის მიერ დაგეგმილი ფორმით. ამ ფორმით მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა ეფექტური მუშაობისათვის უფრო მეტად დახვეწავს ამ მექანიზმს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე აღინიშნა რომ გროვდება და ზიარდება კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, რეკომენდაციები, წარმატებული შედეგები და მიდგომები, რათა გამოიყენონ მომავალი წლის კურიკულუმის რევიზიისა და გადამუშავებისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 07.08.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: